საერთო თემა:
ყოვლისმომცველი, ვრცელი ქრისტე ცვლის კულტურას
ერთი ახალი კაცისათვის

შეტყობინება მეორე

ვიცხოვროთ ყოვლისმომცველი, ვრცელი ქრისტე, და არა ჩვენი კულტურა

ადგილები წერილიდან: ეფეს. 3:11, 16-17ა; ფილიპ. 1:20-21ა; კოლ. 1:15, 18, 27; 3:4, 10-11

I. ბიბლიის ცენტრალური აზრი არის ის, რომ ღმერთს, სურს, რომ ჩვენ ვიცხოვროთ ქრისტე ეკლესიისათვის, როგორც ქრისტეს სხეულისათვის, ერთი ახალი კაცისათვის – ფილიპ. 1:21ა; ეფეს. 2:15-16:

ა. ღმერთის განზრახვა არის ის, რომ ჩვენ გავხდეთ ქრისტეთი გაჟღენთილი, გამსჭვალული და ავსებული ადამიანები, და ასევე ქრისტეთი შემოსილები, რათა ვიცხოვროთ ქრისტე – 3:17ა; გალ. 2:20; 3:27; 4:19.

ბ. ქრისტიანული ცხოვრება არის ცხოვრება, რომელშიც ქრისტეში მორწმუნეები ცხოვრობენ ქრისტეს და განადიდებენ ქრისტეს – ფილიპ. 1:20-21ა.

გ. ვიცხოვროთ ქრისტე, ნიშნავს, რომ ვიცხოვროთ პიროვნება, თვით ქრისტე – კოლ. 1:27; რომ. 8:10:

1. თუ ჩვენ გვინდა, რომ ვიცხოვროთ ქრისტე, ჩვენ უნდა მივიღოთ ის როგორც ჩვენი პიროვნება და უნდა ვიყოთ ერთი პიროვნება მასთან; ქრისტე და ჩვენ უნდა ვიყოთ ერთი პრაქტიკულად – 1 კორ. 6:17.
2. თუ ჩვენ მივიღებთ სინათლეს იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ქრისტე ჩანაცვლებული ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩვენ ვაღიარებთ უფლის წინაშე, რომ ნაცვლად იმისა, რომ ვიცხოვროთ უფალი, ვცხოვრობთ მრავალი სხვა რაღაცით, რომ ჩვენ უმეტესწილად ვცხოვრობთ კულტურით, და არა ქრისტეთი – 1 იოანე 1:7.

დ. ჩვენ იმიტომ არ ვცხოვრობთ ქრისტეს, რომ არა ვართ შედგენილი ქრისტეთი; რითაც ვართ შედგენილი, იმას ვცხოვრობთ კიდეც – კოლ. 3:4, 10-11; ეფეს. 3:17ა.

II. რაც შეეხება ყოვლისმომცველ, ვრცელ ქრისტესა და კულტურას შორის წინააღმდეგობას, ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ ბიბლიის სრული გამოცხადების თანახმად, ღმერთის განზრახვა არის ის, რომ ჩანერგოს თავისი თავი ქრისტეში თავის ამორჩეულ, გამოსყიდულ და ხელახლა შობილ ადამიანებში – გალ. 1:15-16; 2:20; 4:19:

ა. ღმერთის ცენტრალური სამუშაო, მისი უნიკალური სამუშაო სამყაროში მთელი საუკუნეებისა და თაობების განმავლობაში არის ის, რომ ჩანერგოს თავისი თავი ქრისტეში მის მიერ ამორჩეულ ადამიანებში, და გახადოს ისინი ერთი თავის თავთან – ეფეს. 3:17ა; 1 კორ. 6:17.

ბ. ღმერთის განზრახვა არის ის, რომ საფუძვლიანად ჩანერგოს თავისი თავი ქრისტეში ჩვენში, და გახადოს თავისი თავი ჩვენი შინაგანი ელემენტები – ეფეს. 3:11, 16-19.

გ. ღმერთის მარადიული სახლმშენებლობის განსახორციელებლად ღმერთმა უნდა ჩანერგოს თავისი თავი ქრისტეში ჩვენს არსებაში, ანუ უნდა ჩააშენოს თავისი თავი ქრისტეში ჩვენში, როგორც ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი ბუნება და ჩვენი შემადგენლობა, რათა გაგვხადოს ჩვენ ღმერთი სიცოცხლისა და ბუნების თანახმად, მაგრამ არა ღვთაებაში – 2 მეფ. 7:12-14ა; რომ. 1:3-4; ეფეს. 3:17ა; იოანე 14:23; კოლ. 3:10-11:

1. ჩვენ გვჭირდება, რომ ღმერთმა ჩააშენოს თავისი თავი ქრისტეში ჩვენს სიღრმისეულ შემადგენლობაში, რის შედეგადაც მთელი ჩვენი არსება შეიცვლის შემადგენლობას ქრისტეს მეშვეობით – ეფეს. 3:17ა.
2. ქრისტე აშენებს ეკლესიას იმის მეშვეობით, რომ შემოდის ჩვენს სულში და ვრცელდება ჩვენი სულიდან ჩვენს გონებაში, გრძნობებსა და ნებაში, რათა დაიკავოს მთელი ჩვენი სამშვინველი – მათე 16:18; ეფეს. 3:17ა.

III. როდესაც ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ქრისტე ეწინააღმდეგება ჩვენს კულტურას, ჩვენ არ ვგულისხმობთ იმას, რომ უნდა მოვიშოროთ ჩვენი კულტურა და უნდა ვიცხოვროთ საერთოდ ამა თუ იმ კულტურის გარეშე – კოლ. 3:10-11:

ა. მათთვის, ვისაც არა ჰყავს ქრისტე, აუცილებელია, რომ იცხოვრონ კულტურის თანახმად, ვინაიდან კულტურა ინახავს ადამიანებს, არეგულირებს მათ საქციელს და ხდის მათ უკეთესს.

ბ. ყოვლისმომცველი, ვრცელი ქრისტეს მიღებამდე ჩვენ ყველას გვჭირდება კულტურა.

გ. მას შემდეგ, რაც მივიღეთ ქრისტე, ჩვენ არ უნდა მივცეთ ნება კულტურას, რომ შეზღუდოს ქრისტე ან ხელი შეგვიშალოს იმაში, რომ განვიცადოთ ქრისტე და დავტკბეთ ქრისტეთი; პირიქით, ჩვენ უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ ქრისტეს თანახმად, და არა კულტურის თანახმად – 2:6-7.

დ. ვიდრე ბავშვები იზრდებიან, მათ სჭირდებათ კულტურა და კანონი – გალ. 3:23-28:

1. ვიდრე ბავშვები მიიღებენ ქრისტეს, მათ უნდა ისწავლონ კულტურის თანახმად და კანონის ქვეშ – მუხ. 23-24.
2. მას შემდეგ, რაც ისინი მიიღებენ ქრისტეს, ჩვენ შეგვიძლია თანდათან დავეხმაროთ მათ იმაში, რომ შემობრუნდნენ კულტურიდან ქრისტესაკენ – იოანე 1:12-13; 6:57.

IV. ვინაიდან ჩვენ მივიღეთ ქრისტე, არ უნდა მივცეთ კულტურას შესაძლებლობა, რომ გახდეს ქრისტეს ჩანაცვლება – კოლ. 2:6; 3:10-11:

ა. ყოველგვარი კულტურა ეწინააღმდეგება ქრისტეს, და ქრისტე ეწინააღმდეგება ყოველგვარ კულტურას – მუხ. 11:

1. ნებისმიერი კულტურა, როგორიც არ უნდა იყოს ის, ეწინააღმდეგება ქრისტეს.

2. ქრისტეს გარეშე, ყველაფერი, რასაც ჩვენ ვფლობთ და ყველაფერი, რასაც ადამიანი წარმოქმნის და ავითარებს, არის კულტურის ნაწილი.

ბ. ფაქტორი, რომელიც ზღუდავს იმას, რომ გაიზარდოს ქრისტეთი ტკბობა, არის კულტურა; ჩვენში მყოფი კულტურა ავტომატურად გვეწინააღმდეგება, რომ განვიცადოთ ქრისტე სინამდვილეში – ფილიპ. 3:3-9.

გ. ვინაიდან ჩვენი კულტურა ხელს გვიშლის იმაში, რომ განვიცადოთ ქრისტე, დავტკბეთ ქრისტეთი და ვიცხოვროთ ქრისტე, ჩვენ გვაქვს დიდი საზრუნავი უფლისაგან, რომ უფლის აღდგენაში ყველა წმიდანმა ისწავლოს პრაქტიკულად ქრისტეს, როგორც თავიანი სიცოცხლისა და პიროვნების მიღება, იმ მიზნით, რომ ჩაანაცვლონ თავიანთი კულტურა – ეფეს. 3:17ა; კოლ. 3:4.

დ. ქრისტეში ჩვენ გვაქვს თავისუფლება, რომ გვერდზე გადავდოთ ჩვენი კულტურა, რათა გავზარდოთ ჩვენი შესაძლებლობა უფლით ტკბობისა; მთელი სივრცე ჩვენში უნდა გადაეცეს ქრისტეს.

ე. თუ ჩვენში მთელი ადგილი მიეცემა ქრისტეს, კულტურას ჩვენში თავისთავად ჩაანაცვლებს ჩვენში დამკვიდრებული ქრისტე – 1:27; 3:11.

V. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ გვქონდეს ქრისტეს ყოვლისმომცველობისა და სივრცელის ხედვა; ჩვენ არ უნდა შევეცადოთ ჩვენი კულტურის მოშორებას, თუ არა გვაქვს ქრისტეს ასეთი ხედვა – საქმე. 26:19; ეფეს. 1:17-23:

ა. ქრისტე, რომელიც მკვიდრობს ჩვენში, არ არის პატარა, შეზღუდული ქრისტე; ის არის უხილავი ღმერთის სახება, ღმერთის სისავსის განსხეულება და ღმერთის სახლმშენებლობის ფოკუსი – კოლ. 1:15, 18; 2:2, 9-10:

1. ასეთი ქრისტე ახლა მკვიდრობს ჩვენში და ელოდება შესაძლებლობას, რომ გავრცელდეს მთელ ჩვენს არსებაში – 1:27.
2. ეს ქრისტე უნდა იყოს ყველაფერი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, და ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ის, და არ უნდა მივცეთ ჩვენს კულტურას არანაირი ადგილი ჩვენს ცხოვრებაში – ფილიპ. 1:21ა; კოლ. 3:11.

ბ. როგორც კი ჩვენ დავინახავთ ყოვლისმომცველი, ვრცელი ქრისტეს ხედვას, ჩვენ გვერდზე უნდა გადავდოთ ჩვენი კულტურული ბაგაჟი, და არ უნდა მივცეთ მას შესაძლებლობა, რომ ჩაანაცვლოს ქრისტე ან შეზღუდოს ქრისტე – საქმე. 9:4-5; 26:19; ფილიპ. 3:7-10:

1. ჩვენ არ უნდა მივცეთ კულტურას არანაირი ადგილი ჩვენს ცხოვრებაში.
2. ნაცვლად ამისა, მთელი სივრცე ჩვენში უნდა გადაეცეს ყოვლისმომცველ, ვრცელ ქრისტეს, რომელიც მკვიდრობს ჩვენში – კოლ. 1:27.

გ. თუ ჩვენ დავინახავთ ჩვენში დამკვიდრებული ყოვლისმომცველი, ვრცელი ქრისტეს ასეთ ხედვას, ჩვენ თავისთავად მოვიშორებთ ჩვენს კულტურას – 3:10-11:

1. ადრე ქრისტეს ანაცვლებდა კულტურა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენ დავინახავთ ამ ხედვას, კულტურას ჩვენში ჩაანაცვლებს ქრისტე – მუხ. 11.
2. ნაცვლად იმისა, რომ შევეცადოთ ჩვენი კულტურის მოშორებას, ჩვენ უბრალოდ უნდა ვიცხოვროთ ქრისტე, და ქრისტე ჩაანაცვლებს ჩვენს კულტურას თავისი თავით – ფილიპ. 1:21ა.

დ. როდესაც ჩვენ ვცხოვრობთ ქრისტეს, ჩვენ თავისთავად ვთავისუფლდებით კულტურისაგან და ქრისტე, რომელსაც ჩვენ ვცხოვრობთ, ავტომატურად ანაცვლებს ჩვენს კულტურას; ეს არის გამოცხადება კოლასელთა მიმართ წერილში – 1:15, 18, 27; 2:2, 9-10; 3:4. 10-11.

© 2020 Living Stream Ministry